



საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 5 აგვისტო, 2016 წელი

დრო: 14:00 – 17:00 საათი

შეხვედრის ადგილი: რონდელის ფონდის ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
2. ლაშა ტულუში - აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული კოორდინატორი, ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ანა ნაცვლიშვილი - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
4. გიორგი კლდიაშვილი - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
5. ლია თოდუა - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
6. თენგიზ სვანიძე - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაი“
7. ანზორ დუნდუა - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ენერჯორესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
8. ნუკრი ყველაშვილი - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ახალგაზრდული ალტერნატივა
9. ლაშა ბლიაძე - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

განსახილველი საკითხი:

- პოლიტიკის დოკუმენტების წინადადებების განხილვა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებს გააცნო განსახილველი საკითხი.

შეხვედრაზე საბჭომ განიხილა პოლიტიკის დოკუმენტის 24 წინადადება. თითოეულ წინადადებასთან დაკავშირებით დამსწრეებმა გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები.

მსჯელობის შემდგომ, საბჭომ დაამტკიცა 13 პოლიტიკის დოკუმენტის იდეა. შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება დანარჩენი პოლიტიკის დოკუმენტების ავტორებს ეთხოვოთ პოლიტიკის დოკუმენტის მეტად დეტალიზებული წინადადების გამოგზავნა, სადაც მკაფიოდ იქნება მითითებული:

- პოლიტიკის დოკუმენტის მიზანი
- კონკრეტული ერთი მიმართულება (საკითხი)
- ამ მიმართულების კონკრეტული პრობლემის აღწერა
- პრობლემის მოგვარების შესაძლო გზები, რომლებსაც გვთავაზობს პოლიტიკის დოკუმენტი
- მოსალოდნელი შედეგი

შეხვედრის მიმდინარეობისას პლატფორმის თავმჯდომარის ინიციატივით, საბჭოს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ამა წლის 9 აგვისტოს, რონდელის ფონდის ოფისში ჩატარდეს ტრენინგი პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების სტანდარტებსა და მეთოდოლოგიაზე. ტრენინგს დაესწროს მხოლოდ იმ ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც გამოგზავნიან მოთხოვნილი კრიტერიუმების შესაბამისად მომზადებულ პოლიტიკის დოკუმენტის თემებს.

საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების შესაბამისად რედაქტირებული პოლიტიკის დოკუმენტის წინადადების წარდგენისა და ტრენინგის დასრულების შემდეგ იქნეს საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული.

სამსაათიანი მსჯელობის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა